ხობის მოამბე

№2 (7177)
10 თებერვალი,
შაბათი, 2024 წელი
გაზეთი გამოდის 1932 წლის 12 ივლისიდან
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს

საქართველოს პარლამენტმა ახალი პრემიერ-მინისტრი და მის მიერ წარმოდგენილი მთავრობა დაამტკიცა. ირაკლი კობახიძეს მხარი 84-მა დეპუტატმა დაუჭირა. წინააღმდეგ ხმა მისცა 10-მა დეპუტატმა.

მანამდე საკანონმდებლო ორგანოში მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხის განხილვა გაიმართა.

* * *

ირაკლი კობახიძე დაიბადა 1978 წლის 25 სექტემბერს. იურიდიული განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1995-2000 წლებში, აგრეთვე გერმანიაში, დიუსელდორფის უნივერსიტეტში 2002-2006 წლებში, სადაც მიენიჭა სამართლის მაგისტრისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებში.

2015 წელს მან „ქართულ ოცნებაში“ აღმასრულებელი მდივნის თანამდებობა დაიკავა.

2016-2020 წლებში იყო საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

2016 წლის 18 ნოემბერს ირაკლი კობახიძე 118 ხმით 3-ის წინააღმდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

2019 წლის 21 ივნისს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, რაც რუსმა დეპუტატმა, სერგეი გავრილოვმა საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი დაიკავა.

ამის შემდეგ ის საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერად აირჩიეს. ხოლო ამ დრომდე პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა, სადაც მას წინა პრემიერი, **ირაკლი ღარიბაშვილი** ჩაანაცვლებს.

* * *

პარლამენტმა, პლენარულ სხდომაზე, 84 ხმით 10-ის წინააღმდეგ, საქართველოს მთავრობას პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით და სამთავრობო პროგრამას „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ ნდობა გამოუცხადა.

* * *

პრემიერ-მინისტრის გარდა, ცვლილება მხოლოდ თავდაცვის უწყებას შეეხო–თავდაცვის მინისტრის პოსტზე ჯუანშერ ბურჭულაძე ირაკლი ჩიქოვანმა შეცვალა.

საქართველოს პარლამენტმა მთავრობა ახალი შემადგენლობით დაამტკიცა.

ქართული გობელენის უნიკალური ნიმუშები კუთვნილ, ისტორიულ ადგილს დაუბრუნდა

ხობის მუნიციპალიტეტის მერის დავით ბუკიას ინიციატივით და მხარდაჭერით, ხობის კულტურის სასახლეში დაცული გობელენის ნამუშევრების რესტავრაცია განხორციელდა.

გობელენები მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ხობის კულტურის სასახლეში გაჩენილი ხანძრისა და დროის ზემოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად იყო დაზიანებული.

ნამუშევრების აღდგენაზე საქართველოს ხელოვნების სასახლის მეცნიერ-თანამშრომელმა, რესტავრატორმა ნათია ქულუაშვილმა იმუშავა.

ერთ-ერთი გობელენი, რომლის ზომები 9,80 X 2,95 მეტრია, ასახავს ცნობილ მითს არგონავტების შესახებ.

ნამუშევრები ხობის კულტურის სასახლის ფოიეშია გამოფენილი.

სამძიმარი

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ აჭარასა და იმერეთში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად ჩვენი თანამემამულეების დაღუპვის გამო.

მთელი გულით ვუსამძიმრებ და თანადგომას ვუცხადებ დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მადლობას ვუხდი და გამძლეობას ვუსურვებ სტიქიის ზონაში მიმდინარე სამაშველო ღონისძიებებში მონაწილე პირებს.

დავით ბუკია,
ხობის
მუნიციპალიტეტის მერი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე უძღვებოდა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის:

დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსულობები და განისაზღვრა–24193.0 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 27950,4 ათასი ლარის ოდენობით.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“, რომლის მიხედვითაც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი იგივე დარჩა, რაც 2023 წელს იყო განსაზღვრული.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შეადგენს 12.38 ლარს, სოფლებში–3.71 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში–3.1 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს)–6.19 ლარს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში, ქალთა ფონდ „სოხუმის“ წარმომადგენლებმა, ხობის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრის მიზანი–ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხების რეფერირების ადგილობრივ სტრუქტურებს შორის კოორდინაციის და ინფორმაციის გაცვლის სისტემის ხელშეწყობაა.

შეხვედრას, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების და მუნიციპალიტეტში მოქმედი ა(ა)იპი-ების წარმომადგენელები ესწრებოდნენ, სადაც ოჯახში ძალადობის პრევენციაზე, ძალადობის რისკ-ჯგუფებზე, ყველაზე მოწყვლადი ოჯახების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და სოციალური პარტნიორობის ადგილობრივი სისტემის, ინტერსექტორული რესურსების გაერთიანების საკითხებზე ისაუბრეს.

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე ხობში სალოტბარო სკოლა დაფუძნდა.

ქართულ ტრადიციულ სიმღერა-გალობას ლოტბარ-რეგენტი აკაკი კუპრავა შეასწავლის.

1 თებერვალს, ხობის კულტურის სასახლეში სალოტბარო სკოლის მოსწავლეები შეირჩნენ.

ხობის სალოტბარო სკოლაში სწავლა უფასოა. სკოლაში ბავშვები მიიღებიან 6 წლის ასაკიდან.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით და საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, 2015 წლიდან დღემდე, მუნიციპალიტეტებისა და ფოლკლორის ცენტრის დაფინანსებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იხსნება ქართული ხალხური სიმღერისა და ტრადიციული გალობის შემსწავლელი სალოტბარო სკოლები.

სალოტბარო სკოლების გახსნის მიზანია მომავალი თაობისათვის უნიკალური სამუსიკო ფოლკლორისა და საეკლესიო გალობის შესწავლა. ხალხური სიმღერა-გალობის უნარ-ჩვევების დაუფლება.

სალოტბარო სკოლების სალოტბარო პროგრამა შედგენილია ფოლკლორის ცენტრის სპეციალისტების მიერ. სასწავლო პროცესი ორნაწილიანია: საბავშვო სტუდია - 6-დან 15 წლამდე, სალოტბარო -15 წლის ზევით.

მომავალ ლოტბართათვის სწავლა ორწლიანია და გაიცემა სერტიფიკატი.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, სკოლის კურსდამთავრებულებს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ სწავლა გალობის უნივერსიტეტში უფასოდ გააგრძელონ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ხამისკური, საკუკავო, საქირიო, ლარჩვა, ნოჩხონი, ოხვამეკარი, წინაგოლა, ხეთა, თორსა, დღვაბა, საბუკიო.) დასახლების საერთო კრებები და მოსახლეობასთან კონსულტაცია გაიმართა.

დასახლების კრებებზე და მოსახლეობასთან კონსულტაციებზე მოქალაქეებმა ღია კენჭისყრით ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ საპროექტო წინადადებებს დაუჭირეს მხარი.

წინაგოლა–გზის რეაბილიტაცია;

ლარჩვა–გარე განათების მოწყობა;

ოხვამეკარი–გარე განათების მოწყობა;

ნოჩხონი–გარე განათების მოწყობა;

ხეთა–გარე განათების მოწყობა;

ხამისკური, საკუკავო და საქირიო–ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში სკვერის მოწყობა;

თორსა–გარე განათების მოწყობა;

დღვაბა–გარე განათების მოწყობა;

საბუკიო–გზის რეაბილიტაცია:

დასახლების კრება და მოსახლეობასთან კონსულტაცია მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიმართება.

ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პირველ გურიფულში მინი სტადიონის რეაბილიტაცია განხორციელდა.

რეაბილიტირებული სპორტული მოედანი ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ რევაზ ზაქარაიამ და მერის მოადგილე დავით ბერაიამ დაათვალიერეს.

პროექტის შესაბამისად: რეაბილიტირდა სტადიონის ღობე და დამონტაჟდა განათების სისტემა.

სტადიონის რეაბილიტაციის პროექტი “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის წინადადების საფუძველზე განხორციელდა.

მცირე დოსიე

ლევანი ლიპარტია დაიბადა 1978 წლის 8 იანვარს, ქალაქ ხობში. დაამთავრა ნოჯიხევის საშუალო სკოლა. საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, ეკონომისტ–მენეჯერის სპეციალობით.

1999–2006 წ.წ.–მუშაობდა მცენარეთა დაცვის სამსახურის ფიტოსანიტარული კარანტინის ინსპექციაში კარანტინის ინსპექტორად. შემდგომ იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხობის რაიონული განყოფილებაში მენეჯერი სამეურნეო დარგში.

2010 წლიდან იყო ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ტერიტორიულ ერთეულში წამყვანი სპეციალისტი, გამგებლის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი, გამგებლის წარმომადგენელი, ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში.

2021 წლის 3 დეკემბრიდან ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეა.

ჰყავს მეუღლე ედიტა ნანავა და ოთხი ქალიშვილი.

„მმართველი გუნდის და ადგილობრივი ხელისუფლების ნდობით“

ბატონო ლევან, წლებია ხალხის ნდობას იმსახურებთ, მათი რჩეული ხართ. ეს დაფასებასთან ერთად უდიდესი პასუხისმგებლობაა ამომრჩევლის წინაშე, თქვენ როგორ ფიქრობთ?

–სწორად აღნიშნავთ, როცა უმრავლესობა შენზე აკეთებს არჩევანს, ნამდვილად უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე დგები. პასუხისმგებლობა, კი თავისთავად არის იმის მიზეზშედეგობრივი გააზრება, რომ იტვირთო, შეძლო და გაამართლო.

საიდან დაიწყო გზა. რომელიც წარმატებულად გრძელდება, უფრო სწორად, როდის და რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკაში ჩაბმა, მით უფრო, თუ მოარულ გამონათქვამს დავუჯერებთ (მე ნამდვილად არ მჯერა), პოლიტიკა ბინძური საქმეა.

–ჩავთვალოთ რომ თქვენი კითხვა რიტორიკულია, მაშინ ხომ შეიძლება მეც რიტორიკული კითხვითვე მოგმართოთ? გამოდის, თითქოს სიბინძურეში შესვლისთვის ამირჩია ხალხმა? ეს ასე არ არის! პოლიტიკოსს ხშირად უწევს რისკზე წასვლა. მაგრამ ეს რისკი ზნეობრივ ხიდზე გავლას უკავშირდება და თუ ამ ხიდზე გავლისას არ აყვები ცდუნებას და შეინარჩუნებ ზნეობას, მაშინ ხარ თავაწეული შენი ამომრჩევლის წინაშე და მართალი უფლის წინაშე.

ჩემი პოლიტიკური კარიერა მშობლიურ სოფელს–ნოჯიხევს უკავშირდება. სოფლის რწმუნებულად მუშაობამ მომცა უდიდესი გამოცდილება, არსებულმა გამოწვევებმა შემიქმნა უფრო მეტის კეთების სურვილი, მმართველი გუნდის და ადგილობრივი ხელისუფლების ნდობამ განაპირობა ის მოცემულობა, რაც დღეს მაქვს.

თქვენი თვალსაზრისით, რომელი პერიოდი იყო ყველაზე ნაყოფიერი თქვენს ცხოვრებაში?

–ცხოვრებაში ყველა პერიოდს, ასპექტს თუ ამბავს თავისი ხიბლი აქვს. ამიტომ ცალსახად, რომელიმე პერიოდის გამოყოფა გამიძნელდება.

როგორ შეაფასებთ ქვეყანაში მიმდინარე ბოლოდროინდელ პროცესებს? (ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება).

–საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება არის სახელმწიფოს და მმართველი გუნდის უდიდესი ჩართულობის და მონდომების შედეგი. თვითმიზანი კი, საბოლოო ჯამში, ევროკავშირის წევრობა და ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოში ცხოვრებაა, რასაც მოყვება: მეტი ფინანსური მხარდაჭერა, მნიშვნელოვანი ჩართულობა ევროკავშირის პროგრამებში, განათლების სფეროში წინსვლა და სტუდენტების მეტი მხარდაჭერა, გაძლიერებული დახმარება ეროვნული ამოცანების წინაშე, 27 წამყვანი ქვეყნის მხარდაჭერა.

საქართველო ბრუნდება იმ ოჯახში, რომელსაც ოდითგანვე .მიეკუთვნებოდა. თავის მხრივ, კი საქართველოს უნიკალური კულტურა და ტრადიციები ევროკავშირის მრავალფეროვნებას შეემატება.

ბატონო ლევან, ახლახან მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტი–2024 წლის ბიუჯეტი.

გთხოვთ უბრალო ენით, რომ იტყვიან, „გლეხურად“ ამიხსნათ, რა გველოდება მიმდინარე წელს, რა გაკეთდება ახალი ხალხის საკეთილდღეოდ?

–მოკლედ ასე მოგახსენებთ: მუნიციპალიტეტის 2024 წლის საწყისი ბიუჯეტის შემოსულობები გასულ წელთან შედარებით თითქმის ორი მილიონი ლარით იზრდება, რაც მისასალმებელია.

მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბიუჯეტში გათვალისწინებული შემდეგი პრიორიტეტები: ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, განათლება, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, დასუფთავების ღონისძიებები.

ვგონებ, საუბარი გაგვიგრძელდა, ვიდრე დაგემშვიდობებით მითხარით, როგორია თქვენი პირადი ცხოვრება–ოჯახი, შვილები, თავად როგორი მამა და შვილი ბრძანდებით?

–ვიქნები ბანალური და ვიტყვი: ოჯახი ჩემთვის ყველაფერია! ოჯახი–ეს არის სიმყუდროვე, სითბო, სიყვარული, ურთიერთობა, მოსმენა, ყოფაცხოვრების ერთიანობა, აზრების თანხვედრა, რომელსაც ქმნის და აყალიბებს დედა. მერე უკვე ძნელია იპოვო ის მეორე ნახევარი, მეგობარი, რომელიც ამ შექმნილ გარემოს გააგრძელებს, ახლებურ ელფერს შესძენს. და თუ იპოვე, მაშინ ხარ ბედნიერი. მე ამ მხრივ ბედნიერი კაცი ვარ! მყავს არაჩვეულებრივი მშობლები, იდეალური მეუღლე და შესანიშნავი ოთხი გოგო.

ეკლესიური ხართ?

–როგორც ყველა მართლმადიდებელი ქართველი, მეც ვცხოვრობ ქრისტიანული ცნებების დაცვით. ვენდობი უფალს, ვგრძნობ წყალობას და ქედს ვიხრი მის წინაშე. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, სხვანაირად არც მეპატიება, რადგან კლასელებიდან ორი ბერი და ერთი მონაზონი მყავს. მათთან შეხვედრა და ურთიერთობა ჩემთვის არის უდიდესი სულიერი საზრდო.

ესაუბრა მერი ლაგვილავა.

იუბილე

ლაშა გვასალიას!

ბატონო ლაშა, გაზეთი „ხობის მოამბეს“ რედაქციის თანამშრომლები დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების თარიღს.

თქვენ თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული კალმოსანი ბრძანდებით. სხვათაგან გამორჩეულია თქვენი სტილი, თხრობა როგორც პოეზიაში, ისე პროზაში...

გვეამაყება, რომ ხართ ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობარი, დამფასებელი, წამკითხველი და შემფასებელიც. სიამოვნებით ვიხსენებთ იმ წლებს, ჯერ კიდევ გაურანდავ სტრიქონებს რომ უმხელდით მკითხველს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან. ასე გვგონია, გაზეთთან წილნაყარი იზრდებოდით...

მას შემდეგ თქვენს შემოქმედებაზე ბევრი დაიწერა, მომავალში უფრო მეტს იტყვიან მეგობარი კალმოსნები.

ჩვენ კი მოკრძალებით გეტყვით-გვეამაყებით და გვიყვარხართ!

ლექსის კაცი!..

...„ვერ მომაწონებს
ვერვინ,
რაც არ მწადია
გულითა...“

ამ სტრიქონებიდანაც გვამცნობს პოეტი, რომ პერსონაა, რომელსაც გამორჩეული გზა და სავალი ერგო.

ზამთრის უთეთრეს, თებერვლის შვიდში მოვლენია ქვეყნიერებას.

51 წლის ასაკში, ლაშა გვასალია სიტყვის დიდოსტატი, ყველა ჟანრში დახუნძლული შემოქმედი და არაჩვეულებრივი მკითხველია.

აფასებს სიტყვის პეწსა და სითამამეს.

მისი წაკითხულ-შეფასებული ობიექტურიც არის და ლაკონურიც.

ერთ ლამაზ ფრაზაში შეუძლია „დაგინახოს“ და დაგიმახსოვროს!..

ენების: ქართულისა და მეგრულის გამდიდრებისათვის თავდაუზოგავად იღწვის. ის ამდიდრებს ენას ახალი სიტყვების დაბადებით, ოღონდ ისევ ენისავე წიაღიდან. ჩვენ მკითხველებს კი ლექსიკურ მარაგს გვივსებს და თვალსაწიერს გვიფართოებს.

ზნეკეთილია!

თუ შემოქმედ ხალხს „ეძნელება“ კარგზე კარგის თქმა, ლაშა გვასალია ნიჭიერების უშურველი ქომაგია!

ღირსეულადაა იგი წარმოჩენილი თანამედროვე სამწერლობო სივრცეში.

წმინდა კვართის მცველმა კუთხემ კარგად იცის მისი ფასი!!!

იციან ხობელებმაც!!! სამეგრელოსთვის და მთელი ქვეყნისთვის საამაყო მწერალი, საზოგადო მოღვაწე მაღალი სულიერებიდან მოდის... ლექსის კაცია!!!

ვულოცავთ და ვლოცავთ თებერვლის ცრიატ დღეს დაბადებულ მზეგულიან პოეტს!

სვეტლანა კვიკვინია.
ჟურნალისტი
აფხაზეთიდან.

„ერთად დგომით, საქმის სიყვარულით...“

ქალბატონო რალა, ხობში საკმაოდ ცნობადი სახე ბრძანდებით. გამოირჩევით, როგორც სამსახურებით, ასევე პიროვნული თვისებებით. თუმცა მინდა, ამჯერად რამდენიმე კითხვით მოგმართოთ, რათა მკითხველმა სხვა კუთხითაც გაგიცნოთ:

როგორ მოხვდით ხობში, რა დაამთავრეთ და პირველად სად დაიწყეთ მუშობა–ოჯახი, ყველაფერი თქვენზე...

–წარმოშობით ვარ კუთხიდან, რომელიც ყველას ძალიან გვტკივა, მაგრამ გვაქვს რწმენა და იმედი, რომ დავბრუნდებით და აფხაზეთი სხვა, დროებით დაკარგულ ტერიტორიებთან ერთად, ღირსეულად შემოუერთდება ჩვენს სამშობლო–საქართველოს.

ვარ სოხუმიდან, დავამთავრე

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მათემატიკის სპეციალობით. უმაღლესი სასწავლებლების მაშინდელი კურსდამთავრებულები იგზავნებოდნენ (ეს იყო 1981 წელი) სამუშაოდ რაიონებში მოთხოვნის შესაბამისად.

ხობის რაიონის მაშინდელ განათლების განყოფილების გამგეს, საჯიჯაოს საშუალო სკოლაში სჭირდებოდა მათემატიკის მასწავლებელი. რადგან ამ დროისთვის ახალი დაქორწინებული ვიყავი, სიამოვნებით დავთანხმდი. ჩემი მეუღლე თამაზ ქაჯაია იყო საჯიჯაოდან, მასაც დამთავრებული ჰქონდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი და დაუბრუნდა თავის სოფელს.

საჯიჯაო არაჩვეულებრივი სოფელია თავისი შრომისმოყვარე, მოსიყვარულე და სტუმართმოყვარე მაცხოვრებლებით. სკოლაში დამხვდა გამორჩეული პედაგოგიური კოლექტივი და ძლიერი დირექტორი ბატონი ინდიკო შამათავა. როგორც ახალბედამ, ბევრი რამე ვისწავლე. უდიდესი სიყვარული გამომყვა მათგან, რომელიც დღემდე მათბობს. შემდეგ იყო სხვადასხვა გამოწვევები: ამ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, რაიონის მეთოდური კაბინეტის ხელმძღვანლად და რაიონის განათლების განყოფილების გამგედ მუშაობა.

არ იყო მარტივი, ასეთი ახალგაზრდა ვყოფილიყავი ხელმძღვანელი, უდიდესი და პატივსაცემი სისტემისა. დიდი იყო გამოწვევა შალვა ხარებავას, ნელი ბუკიას, ალექსანდრა ბერაიას, ანტონ გოგიას, ბევრ უძლიერეს, წარმატებულ დირექტორებთან, სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელებთან და გამოცდილ, ნიჭიერ პედაგოგებთან მემუშავნა ხელმძღვანელად, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით და შევძელით საკმაოდ წარმატებულად ერთად დგომით, საქმის სიყვარულით, რაც გამოიხატა ამ წლებში მასწავლებელთა, აღმზრდელთა და მოსწავლეთა მიღწეული წარმატებებით.

ჩემთვის დღემდე ძვირფასი და ახლობელია ყველა მასწავლებელი და განათლების სფეროს მუშაკი, რომელთანაც მიმუშავია, მათდამი სიყვარული და პატივისცემა არასდროს არ გამინელდება და ეს მაბედნიერებს.

დიდი გზა გაიარეთ წარმატებისკენ. თქვენი აზრით, რა არის მთავარი წარმატების მისაღწევად?

–ვფიქრობ, რომ ხობმა მომცა შესაძლებლობა მემუშავა სხვადასხვა საპასუხიმგებლო თანამდებობებზე, ამასთან ვყოფილვიყავი საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი გოდერძი ბუკიას ბიუროს ხელმძღვანელი. ეს იყო ხობელ მოსახლეობასთან ურთიერთობის საუკეთესო გზა, გზა თითოეულ ოჯახამდე, რაც გამოიხატებოდა დეპუტატის საქმიანობით, ქველმოქმედებებით, ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობით თუ კულტურული და სპორტული ღონისძიებების საერთაშორისო დონეზე წარმართვით. არ ჩავუღრმავდები თუ რა სიცოცხლის და წარმატების მიმნიჭებელი იყო ხობისთვის და არა მარტო, ჩვენი სავიზიტო საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“.

შემდეგ დავინიშნე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწედ. მოგვიანებით გამგებლის მოადგილედ. თითოეული საქმიანობა ჩემთვის გახლდათ სასიამოვნო და ამავდროულად საპასუხიმგებლო გამოწვევა. რა თქმა უნდა, იყო სიძნელეები, მაგრამ არა გადაულახავი, იყო წარმატებები, რომელიც ხობელებთან ერთად მივიღეთ. წარმატების მისაღწევად ხომ ერთად დგომა, ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარულია საჭირო.

ვიზიარებ ამერიკელი მწერლისა და პოპულარული მომხსენებლის ზიგ ზიგლარის აზრს, რომ „წარმატება შრომაა და არა შედეგის მიღება, ის ცდაშია და არა ტრიუმფში, წარმატება პიროვნული სტანდარტია, ის ჩვენი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციაა. თუ ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია, წარმატებულები ვართ“.

როგორი იყო და არის თქვენი ცხოვრების დევიზი?..

–ყოველთვის მიმაჩნდა და დღესაც ვფიქრობ, ვიყო მართალი, გულწრფელი და მიმტევებელი. არასდროს მოვექცევი სხვას ისე, როგორც არ მინდა მომექცნენ მე.

ოჯახის შესახებ გვიამბეთ: მეუღლეზე, შვილებზე. როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი, რომ იყო კარგი დედა, მეუღლე, ბებია?..

–ჩემი მეუღლე თამაზ ქაჯაია, ძალიან დადებითი ადამიანი გახლდათ. მუშაობდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ყოველთვის და ყველგან სიყვარულს იმსახურებდა, იყო კარგი მეუღლე და მეგობარი, გამორჩეული მამა და შვილი. აღვზარდეთ ორი შვილი, რომელთა ქმედებით გული არასდროს გვტკენია, ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე სწორედ მან მისცა შვილებს მაგალითი იმისა, როგორ უნდა გამოადგე შენს ქვეყანას, როგორ უნდა ემსახურო ღირსებით. ჩვენს შვილებს ჰყავთ არაჩვეულებრივი მეუღლეები, აქვთ ღირსეული ქართული ოჯახები, მყავს 4 შვილიშვილი, უფროსი შვილიშვილი გიორგი ახლახან დაქორწინდა უმშვენიერეს ნინიზე და ძალიან მაბედნიერებს.

რაც შეეხება იყო კარგი დედა და ბებია, ეს ალბათ, კარგი მაგალითის მიცემაა, მართალი გზის ჩვენებაა, სიყვარულის ჩანერგვაა, მაგრამ ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც გვინდა, ხომ იცით... „ბუნებამაც უნდა უშველოს...“ ჩემს შემთხვევაში ასეც მოხდა, ეტყობა ბუნებამაც წაგვაშველა ხელი. ძალიან ბედნიერი ვარ ჩემი შვილებით და შვილიშვილებით. მათი ცხოვრების წესით.

გაიხსენეთ თქვენი ცხოვრების ყველაზე საინტერესო და დასამახსოვრებელი პერიოდი?

–ცხოვრების ყველა პერიოდი საინტერესოა, თითოეულს თავისი ხიბლი აქვს. რაც შეეხება დასამახსოვრებელს და ძვირფასს, ეს მეუღლესთან თანაცხოვრების წლებთან ასოცირდება.

საკუთარი პიროვნული თვისებებიდან ყველაზე მეტად რა გეამაყებათ?

–სიამაყის რა გითხრათ, მაგრამ მიყვარს მიზანსწრაფულობა და ის, რომ საკუთარ თავთან მართალი ხარ.

ამჟამად რას საქმიანობთ?

–2012 წლიდან ვმუშაობ მუნიციპალიტეტის მერიაში (გამგეობა) საქმისწარმოების განყოფილების უფროსად. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებ თანამშრომლებთან ერთად.

ჩემთვის არ არსებობს განსაზღვრა პატარა და დიდი საქმის, ვფიქრობ, ყველა საქმე თავისებურად დიდი და მნიშვნელოვანია, თუ გიყვარს და პასუხისმგებლობით ეკიდები მას. ნამდვილად სასიამოვნო გამოწვევაა მუნიციპალიტეტის მერიის კოლექტივის წევრი და საჯარო მოხელე რომ ვარ, რამეთუ ამ შემთხვევაში ხარ შენი ქვეყნის, ხობის პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და ინფრასტრუქტურული აღმშენებლობის მონაწილე და თანაზიარი შენი მოკრძალებული წვლილით. მე ვამაყობ მუნიციპალიტეტის მერიაში, ასეთ დიდ და ჯანსაღ კოლექტივში მუშაობით, სადაც ყოველ ნაბიჯზე ერთმანეთის მიმართ საქმიანი ურთიერთპატივისცემა იგრძნობა.

როგორ ფიქრობთ, ადამიანი ნამდვილ სახეს როდის, როგორ სიტუაციაში ავლენს?

–ადამიანად არ იბადებიან, ადამიანად ყალიბდებიან, ადამიანი სიკეთის ან ბოროტების მატარებელია, ან ორივესი ერთად, ორივესგან თავისუფალი ადამიანი არ არსებობს, რაც შეეხება ნამდვილ სახის გამოვლენას, ის გარკვეული დოზით შეიძლება გამოავლინოს პიროვნებამ, ზოგჯერ გამდიდრებისა და თანამდებობის მიღებისას, ზოგჯერ კი გაჭირვებისას. ისე, უნდა ვიცოდეთ, რომ არაფერია მარადიული, ნურც გამდიდრება გაგვაკვირვებს და ნურც გაჭირვებას დავუხრით თავს. ფული და სოციალური მდგომარეობა სულიერად ღარიბ ადამიანს ცვლის. მთავარია, არაფერს მისცე უფლება შენზე ზეგავლენა მოახდინოს, უნდა ებრძოლო ცდუნებას და დოგმებს.

და ბოლოს, რამდენიმე რჩევა რომ მისცეთ გაზეთის მკითხველს, რათა ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალონ.

–ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა ყოველთვის შესაძლებელია, უნდა ვიყოთ მიზანდასახულები, შრომისმოყვარეები, გულწრფელები, ვაკეთოთ სიკეთე და გვიყვარდეს ერთმანეთი.

მადლობა ინტერვიუსთვის.

ესაუბრა
ნანი კილასონია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

მიმდინარე სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე რევაზ ზაქარაიამ და მერის მოადგილე დავით ბერაიამ დაათვალიერეს.

პროექტის შესაბამისად: ნატანი მასისგან იწმინდება არხი, მოეწყობა ეზოში შესასვლელები.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, კონტრაქტორი კომპანია „გზა მშენებელი 13“ ახორციელებს.

„ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრმა“ ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი შეიძინა.

ახალშეძენილი ინვენტარი სპორტის ცენტრის ჯგუფებსა და წრეებს გადაეცა.

ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში სპორტული ინვენტარის შესაძენად 300 ათას ლარზე მეტია გათვალისწინებული.

„ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრში“ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება მიმდინარეობს, რის შემდეგაც სპორტული ინვენტარის და ეკიპირების შესაძენად გამოცხადდება ტენდერი.

„ანას სკოლის" პერსპექტიული მომავალი

ქალბატონო, ანა მინდა მოგმართოთ გაზეთ „ხობის მოამბეს" ტრადიციული კითხვით: ვინ არის ანა არაბული?

–მოგესალმებით. გისურვებთ წარმატებას და მადლობას მოგახსნებთ „ანას სკოლის" მიმართ გამოჩენილი ინტერესისთვის.

–დავიბადე ქ. თბილისში, პედაგოგებისა და მხატვრების ოჯახში. შესაბამისად, არასდროს მიფიქრია სხვა პროფესიაზე გარდა მასწავლებლობისა.

დავამთავრე ბრიტანული სკოლა „ალბიონი"და სწავლა გავაგრძელე უმაღლეს სასწავლებელში, ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. პარალელურ რეჟიმში, ვმუშაობდი და დაკავებული ვიყავი რეპეტიტორის საქმიანობით. მოგვიანებით მუშაობა გავაგრძელე ამერიკულ უმაღლეს სკოლა-კოლეჯში, ინგლისური ენის მასწავლებლად ინგლისურ სექტორზე.

პანდემიამდე 1 წლით ადრე, ოჯახმა გადავწყვიტეთ, დაგვეტოვებინა ქალაქის ყოველდღიურობა და დავბრუნებოდით მეუღლის მამა-პაპისეულ სახლს სოფელ ხეთაში.

შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ჩემი გამოცდილებისა და ცოდნის, ადგილობრივი ბავშვებისთვის გაზიარების საკითხიც... ასე დაარსდა „ანას სკოლა".

ქებათა ქება მსმენია თქვენზე. რამდენი წელია ხობში „ანას სკოლა" არსებობს, რამდენი ეუფლება ინგლისურ ენას ამჟამად?

–„ანას სკოლა" 5 წელია არსებობს. მოსწავლეები მიიღებიან 1-12 კლასის ჩათვლით. ამჟამად 140 მოსწავლე გვყავს. გვაქვს ჯგუფური მეცადინეობები. მეთოდებიცა და აქტივობებიც მორგებულია ბავშვების საჭიროებებსა და შესაძლებლობებს ასაკის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილები ჯგუფურია, თითოეულის უნარი (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) მუშავდება ინდივიდუალურად.

ქალბატონო ანა, გვიამბეთ თქვენს ოჯახზე?

–მეუღლე გახლავთ გივი ლატარია. განათლებით იურისტი და თავისი საქმის პროფესიონალი, ძალიან მდიდარი სამუშაო გამოცდილებით.

ამჟამად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილეა, სოფელ ხეთის მაჟორიტარი დეპუტატი.

გვყავს ორი შვილი, 15 წლის ბარბარე და 10 წლის ანდრია. ისინი ხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან.

კიდევ რას გვეტყვით თქვენს სკოლაზე?

–„ანას სკოლაში" დანერგილი გვაქვს საგამოცდო სისტემა. წელიწადში ორჯერ მოსწავლეები აბარებენ შემაჯამებელ ტესტირებას. ხოლო ახალი მოსწავლეების მიღების შემთხვევაში, სადიაგნოსტიკო ტესტირების საფუძველზე განისაზღვრება, მისაღების ცოდნის დონე და შესაბამისი ჯგუფი.

როგორი კონტაქტები გაქვთ მოსწავლეთა მშობლებთან? ვიცი, დიდია მშობელთა კმაყოფილება და გენდობიან.

–მშობლებთან ახლო და ყოველდღიური კომუნიკაცია მაქვს, რადგან ვფიქრობ, რომ კომუნიკაცია მასწავლებელსა და მშობელს შორის ემსახურება ბავშვის პროგრესს. მათთან ერთად ვგეგმავ სხვადასხვა სამომავლო აქტივობებს. გვაქვს საინფორმაციო ჩატები სოციალურ ქსელში და მშობლები ყოველდღიურ რეჟიმში იღებენ ინფორმაციას, მათი შვილების მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ.

ანა, გვიამბეთ რა კრიტერიუმებით ხდება ბავშვის ცოდნის შეფასება?

–დიდი მადლობა. დიახ, „ანას სკოლას" ყოველ წელს ჰყავს უმაღლესქულიანი სტუდენტები. ამჟამად 130 მოსწავლეს ვუძღვები თავად, ხოლო 10- ABC მოსწავლეს, ჩემი მოსწავლე–მარიამ რაფავა.

სკოლაში დანერგილი გვაქვს ახალგაზრდების წამახალისებელი პროგრამა, რომელიც მოიცავს მათ გადამზადებას, მოტივაციის ამაღლებასა და დასაქმებას. ყოველ წელს თითო გამორჩეულ მოსწავლეს, საშუალებას ვაძლევ, ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ გაუძღვეს პატარების ჯგუფს. გასულ წელს ჯგუფს ხელმძღვანელობდა არაჩვეულებრივი და წარმატებული ხობელი ახალგაზრდა ნოდარ კარტოზია.

ქალბატონო ანა, სკოლაში მარტო ასწავლით არა? დრო საკმაოდ განაწილებული გექნებათ ალბათ. რთულია სკოლა, ბავშვები, ოჯახი... თავისუფალ დროს როგორ იყენებთ?

–თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს. რადგან გაკვეთილებს ვატარებ 12-დან–21 საათამდე ყოველდღე. შაბათ-კვირას კი ვცდილობ, დრო ოჯახის წევრებს დავუთმო.

იმედია, წლებმა მეგობრები გაგიმრავლათ. მეგობრობაზე არსებობს ასეთი გამოთქმა–„მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ".

ვინ არიან თქვენი მეგობრები?

–ძალიან დიდი სითბოთი და ნდობით მიმიღეს ჩემთვის უცნობ ქალაქში და მიხარია, რომ მეგობრების შეძენაც მოვახერხე. ჩემი მეგობრები არიან ჩამოყალიბებული, შემდგარი და ერთგული ადამიანები.

ჩანს, თანდათან ფართოვდება თქვენი მოქმედების არეალი. ხობში ამის წინათ შეიქმნა ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომლის მდივნად თქვენ აგირჩიეს, რას გვეტყვით ამაზე?

–დიდი მადლობა. იმედია, გავამართლებ ხალხისა და ხელმძღვანელთა იმედებს.

პიროვნული თვისებებიდან ყველაზე მეტად რას გამოარჩევდით?

–პიროვნული თვისებებიდან გამოვარჩევდი მიზანდასახულობას.

თქვენთვის უმთავრესი მისია რა არის?

–ალბათ, მხოლოდ ჩემი არა, ყველა მასწავლებლის მისია უნდა იყოს, საკუთარი თავის წვით, მოსწავლის გზის განათება. შესაბამისად, ჩემი ყოველდღიურიცა და ამქვეყნიური მისიაც ეს მგონია.

ანა, პირდაპირობა გჩვევიათ?

–დიახ, ძალიან პირდაპირი ადამიანი ვარ.

საუბრის დასასრულს, სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრეთ?

–სამომავლოდ, ძალიან მინდა, „ანას სკოლა" იქცეს ახალგაზრდულ-საგანმანათლებლო ცენტრად, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, სასიამოვნო და სასარგებლო ერთმანეთს შეუთავსონ.

მადლობა ინტერვიუსთვის.

–მადლობა თქვენ და კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებებს!

ესაუბრა
ნანი კილასონია.

მოლოცვა

ანა გოგუას!

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მოცეკვავე, ანა გოგუას ქართული ქორეოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა „წარმატებული ახალგაზრდა ხელოვანის" წოდება მიანიჭა.

საზოგადოება „ხობელის" გამგეობა საზოგადოების ახალგაზრდული მიმართულების ფრთის ხელმძღვანელს ულოცავს ამ წოდებას და უსურვებს წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში.



სერგი მაკალათია–130

ქართული მხარეთმცოდნეობისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი

სერგი მაკალათიას (1893-1974 წწ.) გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული მეცნიერების ისტორიაში, არა მხოლოდ როგორც ქართული მხარეთმცოდნეობისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, არამედ როგორც უშიშარ პიროვნებასაც. იგი ქედს არ უხრიდა მაშინდელ სისტემას და თვით უშიშროებასაც, რომელიც უხეშად ერეოდა მის საქმიანობაში. 1942 წელს დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ არც ამას შეგუებია. განთავისუფლებული კვლავაც თავისი მრწამსით აგრძელებდა ცხოვრებას და ქართულ საქმეს ემსახურებოდა, დაუფარავად გმობდა ყოველ ანტიქართულ ქმედებასა და გამოხტომებს, ღიად გააპროტესტა 1956 წლის სისხლიანი 9 მარტი. მისი გამბედაობა ექსპედიციების დროსაც იჩენდა თავს, განსაკუთრებით საქართველოს ოკუპაციის შემდეგ (1921 წ.), კინაღამ სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდა, მაგრამ უკან არასდროს დაუხევია. მის წინააღმდეგ ინტრიგებსაც არ გაუბოროტებია, –სადა მცალია მაგათთვის,–იტყოდა თურმე,–იმდენი საქმე მაქვს გასაკეთებელიო.

სერგი მაკალათიას შეუპოვრობა სხვა მხრივაც იჩენდა თავს. თუკი მუზეუმიდან დაფინანსებას ვერ იღებდა, ექსკურსიამძღოლად ფორმდებოდა და ასეთ პირობებში აგროვებდა მასალებს. საამისოდ ფოტოხელოვნებასაც დაეუფლა. ხატვა ეხერხებოდა და ჩანახატებსაც აკეთებდა. მისი ფათერაკებით სავსე ცხოვრება საოცარი თავგადასავალიცაა, შესანიშნავი მასალა დოკუმენტური, თუნდაც მხატვრული ფილმის გადასაღებად.

სერგი მაკალათია რომ არა, საქართველოს სხვადასხვა მხარის ყოფა-ცხოვრება არათუ შესწავლილი, არამედ აღწერილიც არ იქნებოდა, სამუდამოდ გაქრებოდა ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და სიბრძნე, რომელსაც, წმინდა სამეცნიერო ღირებულების გარდა, პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს, რაც დღევანდელ მეურნეთათვისაც მნიშვნელოვანია.

მიუხედავად მრავალი ხელშემშლელი პირობისა, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, გამოდიოდა მისი მონოგრაფიები: „ხევი“, „მთის რაჭა“, „თუშეთი“, „ხევსურეთი“, ,,მესხეთ-ჯავახეთი“, „ფშავი“, „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, „ატენის ხეობა“, ,,ბორჯომის ხეობა“, „თეძმის ხეობა“, ,,ლეხურის ხეობა“, „ლიახვის ხეობა“, „ფრონის ხეობა“, ,,ძამის ხეობა“, „ქსნის ხეობა“ და სხვ. ხეობების მიზანმიმართული კვლევით სერგი მაკალათიამ ფაქტობრივად ვახუშტი ბაგრატიონის საქმე გააგრძელა. ეს შრომები დღესაც მეცნიერთა სამაგიდო წიგნებია, ხალხისთვის კი, თავის დროზე მოუთმენლად რომ ელოდა მათ გამოსვლას, ნამდვილი საუნჯე და სამშობლოსადმი პატრიოტული გრძნობების გამღვივებელი იყო.

ბიბლიოგრაფიულ იშიათობად ქცეული აღნიშნული წიგნების ხელმეორედ გამოცემა ცხოვრებისეული აუცილებლობაცაა და საჭიროა, როგორც მკვლევართათვის, ისე სამშობლოს წარსულის მოყვარული ქართველებისთვის.

სამეგრელოში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა, სადაც სერგი მაკალათია დაიბადა და გაიზარდა, ეთნოკულტურულმა გარემომ, კლასიკურმა განათლებამ, აღმოსავლეთის ხალხების ისტორიის ღრმა ცოდნამ ხელი შეუწყო მის წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობას. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გავლილმა სკოლამ, სერგი მაკალათია საქართველოს ისტორიის იმ სიღრმეებსა და მასშტაბს აზიარა, რაც დღეს ახალ ვითარებასა და პირობებში კიდევ უფრო აქტუალურია, როდესაც საქართველოს ისტორიის არაერთი მხარე თავიდან გადასახედი და გასააზრებელია. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სერგი მაკალათიას ის შრომები, რომლებიც ისეთ ურთულეს და დღესაც აქტუალურ პრობლემას ეხება, როგორიცაა აღმოსავლეთის დიდ ცივილიზაციებთან კულტურულ-გენეტიკური ნათესაობა. საამისოდ მეცნიერს მოხმობილი და გააანალიზებული აქვს უნიკალური ეთნოგრაფიული მასალები, რაც სათანადოდ გამოყენებული და გააანალიზებული არ არის ამ საკითხებზე მომუშავე მკვლევართა მხრიდან. ამ რიგის შრომებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სერგი მაკალათიას ადრეულ გამოკვლევას ღვთაება მითრას კულტის შესახებ. მაშინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა, ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი პირველმა დასვა და შეისწავლა. მანვე დაასაბუთა ამ კულტის არსებობა საქართველოში, კავკასიაში მისი გავრცელების მთავარ პლაცდარმად კი კაპადოკია მიიჩნია, რაც უაღრესად საყურადღებოა და მხედველობაში მისაღები. ქართულ მასალაზე დაყრდნობით უჩვენა მეგრული წარმართული მირსას ან მისარიონის კავშირი ირანულ-აღმოსავლურ მითრასთან („მიჰრასთან“), რომელიც სინათლის ღვთაებად მიიჩნეოდა. სათანადო ეთნოგრაფიული მასალების მოხმობით მან დაასაბუთა, რომ ქრისტიანობის პერიოდში, წმინდა გიორგიმ თანდათანობით შეცვალა მითრას რწმენა, კულტი და, რომ სამეგრელოს სინამდვილეში „ჯეგე-მისარონის“ (წმ. გიორგი-მითრას) სახელწოდება შეინარჩუნა.

ეთნოგრაფიული მასალების სიღრმისეული კვლევის შედეგად მან გამოთქვა მოსაზრება ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ქართველური ტომების სარწმუნოებრივი ერთიანობის შესახებ, რაც ეხმიანება ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს დებულებას ქართველ ტომთა ერთიანი ეთნიკური საწყისის შესახებ. სერგი მაკალათიამ თქმულება ამირანზე და „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები შეადარა ავესტასა და მითრას შესახებ არსებულ მითებს და მათ შორის მსგავსება შენიშნა.

სერგი მაკალათია ასეთივე დიდი წარმატებით მუშაობდა არქეოლოგიასა და ნუმიზმატიკაში. მან ნახევარი საუკუნის მანძილზე „იმდენის გაკეთება შეძლო, რაც ერთი მოზრდილი, მრავალდარგოვანი ინსტიტუტისთვისაც კი ცოტა არ იქნებოდა“ (იულონ გაგოშიძე). სერგი მაკალათიამ არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური კოლექციები მოაწესრიგა. მუზეუმების კოლექციები არაერთი საინტერესო უნიკალური მონეტით გაამდიდრა. ქართული ნუმიზმატიკის ერთ-ერთ საინტერესო ფურცლადაა მიჩნეული მის მიერ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანილი კირმანეულის ტიპის უნიკალური მონეტა, რომელიც მან სამართლიანად ვამეყ დადიანს (XIV ს.) მიაკუთვნა. მანვე დაფანჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის“, „გორის ნეკროპოლის დათარიღება“, ,,ყორღანული ტიპის ბალთები დვანიდან“ და სხვ.

განუზომელია სერგი მაკალათიას წვლილი სამუზეუმო საქმიანობაშიც. მან დიდი დახმარება გაუწია ყაზბეგის, მესტიის, ცაგერის, მარტვილის, კასპის მუზეუმებს ექსპონატებით გამდიდრებისა და გამოფენების მოწყობის საქმეში, ხშირად თავადაც ფიზიკურად მუშაობდა. განსაკუთრებულია მისი დამსახურება, როგორც დამაარსებლისა, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის წინაშე, რომელიც 2006 წლიდან მის სახელს ატარებს. მან წარუშლელი კვალი დატოვა გორის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რის თაობაზეც ხსოვნას დღემდე მოწიწებითა და სიყვარულით ინახავენ. ამ ქალაქის პედაგოგიურ ინსტიტუტში იგი ათწლეულების მანძილზე ლექციებს კითხულობდა, როგორც ერთადერთი და პირველი პროფესორი. ეთნოგრაფიის დარგშიც იგი საქართველოში პირველი დოქტორი იყო. მისი წვლილი დიდია გორის ინსტიტუტის ეგიდით ქართლში ჩატარებულ ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ კვლევებსა და ამ ინსტიტუტის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენაში. აღნიშნული ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოს ისტორიის შესახებ არსებულ თითქმის ყველა ღონისძიებას სერგი მაკალათია უძღვებოდა, მაშინ, როდესაც ამ სფეროს ყოველმხრივ ავიწროებდნენ. თუმცა მეცნიერი ამ შემთხვევაშიც ვერ გატეხეს. სტუდენტებში ცოდნასთან ერთად დიდ ეროვნულ მუხტსა და მოქალაქეობრივ მრწამსს აღვივებდა. როგორც წესი, ისტორიულ ძეგლებზე დაყავდა და ამ ძეგლებზე, როგორც ქვეყნის წინაშე ვალმოხდილებზე, დიდი გატაცებითა და სიყვარულით ყვებოდა. ადამიანის შეფასების მისი მთავარი კრიტერიუმი იყო ის, თუ ვის როგორ უყვარდა სამშობლო და როგორ ემსახურებოდა მას.

მაშინდელი სისტემის მსახურნი დრომ ისე გააქრო, როგორც ქრებიან მედროვენი. სერგი მაკალათიას ცხოვრება და მოღვაწეობა კი, რაც დრო გავა, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს და არაერთი თაობისთვის სამშობლოს ერთგულებისა და მისდამი თავდადების მისაბაძ მაგალითად დარჩება.

ქართველი მკითხველი მალე იხილავს წიგნს, სადაც გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის აღიარებული მკვლევარის, საქართველოში მხარეთმცოდნეობის ფუძემდებლის, პროფესორ სერგი მაკალათიას მიერ სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებსა და პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ნარკვევებია თავმოყრილი. კრებული ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის მეცნიერის მიერ ამ მიმართულებით ნახევარი საუკუნის მანძილზე გაწეულ მუშაობაზე.

წიგნის შედგენასა და გამოსაცემად მომზადებისას კარგად გვესმოდა არა მხოლოდ მისი სამეცნიერო მნიშვნელობა, არამედ ერთგვარ მორალურ ვალდებულებასაც ვგრძნობდით საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარის ხსოვნის წინაშე.

ეს წიგნი ძვირფასი საჩუქარი იქნება საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ნუმიზმატიკის, მხარეთმცოდნეობის, სამუზეუმო საქმის საკითხებით დაინტერესებული მეცნიერებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის, ასევე დიდად წაადგება უმაღლეს სასწავლებლებსა და საჯარო სკოლებს. მანამდე კი, მკვლევარის დაბადების 130-ე წლისთავზე, ასევე საუკეთესო საჩუქარია სერგი მაკალათიას ორი წიგნი: „თორი“ და „ქართველი მეფეები“, რომლებიც უკვე გამოიცა გამომცემლობა ,,არტანუჯის“ მიერ.

მანანა გაბაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
იგორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი.

სულთათანა

ჯულსავსე კაცი
(თამაზ ნადარაია)

ორმოცი დღე გავიდა, რაც მარადისობაში გადავიდა...

თამაზ ნადარაია იმ მცირერიცხოვან ადამიანებს მიეკუთვნებოდა, არავის წინაშე ვალი რომ არ ჰქონდა.

კაცი უპრეტენზიო, უბოროტო, ჩუმი და წყნარი, ალალმართალი, კეთილშობილი... თავის ოჯახზე, საქმესა და სამეგობროზე, თავის ოდაბადეზე უზომოდ შეყვარებული ცხოვრობდა, შრომობდა, სიკეთეს თესდა, იმედით შეჰყურებდა მომავალს, მაგრამ გულსავსე კაცს გულმა უღალატა....

ლამაზი, შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო... რიგითი ვეტერინარი ექიმიდან მუნიციპალიტეტის მთავარ ვეტერინარ ექიმობამდე. სამსახურში, სამეგობროში, სანათესაოში უყვარდათ, თავადაც ყველა უყვარდა....

ცხოვრებით კმაყოფილი იყო–ჰ ყავდა ლამაზი ოჯახი, მეუღლე, ღირსეული შვილები, მოსიყვარულე რძალი და სიძეები, შვილიშვილები.

სამწუხაროდ, სულ რაღაც 69 წელი იცხოვრა, მაგრამ იცხოვრა სინდისით, ნამუსით, ვაჟკაცობით, სიყვარულით... ღირსეულად აღასრულა ადამიანური ვალი. წავიდა და დატოვა კარგი, კეთილი კაცის სახელი.

ჩემო თამაზ! შენი სანათესაო ნადარაიების ოჯახები უფალს ვთხოვთ, სამარადჟამო ნათელი დაუმკვიდროს შენს კეთილ სულს.

ბეჭან ნადარაია

კახა კორტავა

15 იანვარი, ბედობის ღამე. 2024 წელი...

შემზარავი კივილი...

დედა, სქუა... დედა, ნანა!..

ცახცახმა ამიტანა, კახა, კახა მომესმა...

მთელი სოფელი შეიყარა, კიოდა დიდი და პატარა... ცრემლების ზღვა დადგა...

რა დამავიწყებს იმ საშინელ ღამეს...

საიდან დავიწყო, მიჭირს წერა...

ბავშვობა, ახალგაზრდობა...

კახა, კახა ბიჭო, „ჩემო ხოტორა“, აწი ვინ გამაღვიძებს დილაუთენია, ვინ დამიძახებს „საშაიას“ (საშა ჩვენი კარის მეზობელი, კეთილშობილი, პატიოსანი, გულთბილი ადამიანი იყო, აცხონოს უფალმა)...

ეჰ, კახა! წუთისოფელს კაცად შერჩი, მაგრამ იმავე წუთისოფელმა ადრე მოგიქნია მათრახი, უფრო და უფრო აგიჩქარა წამები, სწრაფად მიგიყვანა წუთთან და მიგაახლოვა მამასთან, რომლის გარდაცვალებიდან ორმოცი დღეც არ იყო გასული. ამ ცოდვილიან ქვეყანაში ვინ გამოკიდებია ზეცას, მაგრამ როცა სიცოცხლის წყურვილი მომეტებულად გქონდა, მაშინ გიმტყუნა გულმა... წახვედი უფესვოდ, უძიროდ. რატომ ბიჭო, რატომ? ვაი შენს დედას, ერთადერთ ნაადრევად დაქვრივებულ გამწარებულ დას, საფიცარ დისშვილ დათუნას, რომელზედაც მზე და მთვარე ამოგდიოდა.

ჯერ ორმოცი დღეც არ გასულა, მაგრამ მომნატრებიხარ, უსაშველოდ მომნატრებიხარ. როგორ მინდა მოგეფერო, ჩაგეხუტო. მაგრამ მწარე რეალობა მუდმივად მახსენებს, რომ აღარა ხარ, მაგრამ იქ, სადაც ხარ, შენ იცი ძველებურად იქეიფე, მოილხინე „არ დაგავიწყდეს ვისი გორისა ხარ“.

სამარადისო სამყოფელამდე უკრავდა მუსიკა... მეგობრებმა, მეზობლებმა, სოფლის ახალგაზრდობამ „ქორწილი“ გადაგიხადა, ყველას გვეგონა, რომ პარალელურ სამყაროში ჩვენი მეზობლობა, მეგობრობა ძველებურად გრძელდებოდა...

ჩემო „ხოტორა“, „სტოპრო“, „გაბერილო“, „ბურხინა“ არ გვჯერა, რომ აღარა ხარ. შენს სურათს ცოცხალივით ვესაუბრებით. დუმს შენი ეზო-გარემო, მწუხარეა და გარინდული... იქ, ჯერაც შენი სული ტრიალებს...

მოგონებები გროვდება. „კახა“, „კახა“ გეძახით, ცრემლებად ვიღვრებით. მახსენდება შენი ამქვეყნიდან წასვლის დღე, თუ როგორ დაგიტირეს ერთად შეზრდილებმა თეამ, თეონამ, თამუნამ, გიგამ, მარიკამ, მარეხიმ, ეკამ. როგორ დაგაყარეს მარგალიტის მძივებად მდუღარე ცრემლები და თან გაგაყოლეს.

უფალმა უკვდავყოს შენი სული, თავს მოუარე იცოდე, გაფრთხილებ... ნახვამდის!..

ნაირა ბერაია.

ნუგზარ ნადარაია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ნადარაიათა საგვარეულოს ღირსეული შვილი, უიშვიათესი პიროვნული თვისებებით–კეთილშობილებით, მიმტევებლობით, უბრალოებით, ჭირთათმენით გამორჩეული პიროვნება

თამაზ ამირანის ძე ნადარაია

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ჩვენი ავთულია

ავთო ახალაია გამახსენდა, ბუნებისგან დაჩაგრული ავთულია, კეთილი, მუდამ ღიმილიანი და ყველას მიმართ სიყვარულით განწყობილი კაცი. ადრე წავიდა, დედის მოულოდნელად გარდაცვალებამ გაანადგურა და დააჩიავა, სულმნათი. ნაპატიევი, ჩასუქებულ- ჩაბრაწუნებული, სუფთად ჩაცმულ- გამოწკეპილი ჩვენი ავთო დედის მერე წყვდიადში მოექცა, ვერავინ და არავინ მოიცალა მის საპატივცემლოდ თუ მისახედად, თავად კიდევ ვერ მოუარა თავს და გამოხმა, ჩამოდნა, ჩამოიძენძა და გულმიუვალი გახდა. კი, უყვარდათ, ეფერებოდნენ, ხურდებითა თუ რაღაც- რაღაცეებით ეხმარებოდნენ, მაგრამ პეწდაკარგულ და ტუპერკულოზშეყრილს ერიდებოდნენ სიახლოვისთვის და დისტანციას იცავდნენ. სხვები ეგრე იქცეოდნენ, მეც ეგრე ვიყავი... ახლა ვნანობ! ეჰ, რა დროსია!..

ავთულიამ ცეცხლიც წაუკიდა თავის კოხტა, პატარა, კოინდრებზე შემოსკუპებულ ოდას, თვითონ გადარჩა, უფალს კი დაუნთო სინანულისა თუ ტკივილის უშველებელი სანთელი.

ავთო თავიდან ჩემი კლასელი იყო, დედისერთას და გონებრივად შეზღუდულს უმამოდ ზრდიდნენ დედა და ბებია, ნანი-ნანატრ პირმშოს, რომ იტყვიან- ჩიტის რძესაც არ აკლებდნენ. ავთულია გახლდათ მათი მზეცა და მთვარეც. ლოყებდაბუშტული და გახუსხუსებული ხონთქრის ვაჟივით მძიმედ და ღიმილიანად დაიარებოდა. ჩვენი დაწყებითი კლასების მასწავლებელი, უბრწყინვალესი ადამიანი, სულმნათი თამარ თოდუა ყველას, მაგრამ ავთოს მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად ეპყრობოდა, მაგრამ იძულებული გახდა საგნების ვერმოსწრების გამო კლასში ჩაეტოვებინა, იქნებ მომავალ წელს აუღოს ალღო სწავლასო. ასე გახდა ავთო ჩემი უმცროსი დის–ირმას თანაკლასელი.

დაჰყავდათ დედას და ბებიას მონაცვლეობით თავიანთი მზეჭაბუკი სკოლაში, მაგრამ აუცილებლობიდან გამომდინარე, დირექტორის, დიდებული ქალბატონის **ალექსანდრა ბერაიასა** და სასწავლო ნაწილის გამგის, ასევე გამორჩეული პედაგოგის **ლამარა ბუსქანძის** რეკომენდაციით სპეციალიზებულ სკოლა- ინტერნატში გაამწესეს. იმ სასწავლებელმა ჩვენს ავთულიას რა შესძინა და რა არა, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ სიყვარულისა და სიკეთის მხრივ რომ არაფერი დაჰკლებია. ნამდვილად ვიცი.

ერთი პერიოდი ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელ სტუდიაში დავდიოდი, ჩვენი ქალაქის კოლორიტის, ჩვენი „ილიკოს“–თენგიზ ჩიტაიას ჯგუფში. ბებიამ და დედამ ავთულიაც მოიყვანეს ცეკვის შესასწავლად, ქალბატონმა ბებიამ განაცხადა, ვგიჟდები ბიჭი რომ ხელებს გაშლის და წრეს დაარტყამს გამომწვევად და ჩემი შვილიშვილი მოცეკვავე უნდა გამოვიდეს, ამ მოხუცებულობაში გული უნდა გამიხაროსო. მაგრამ არ გამოუვიდა ბებიის გულის კოკობს არაფერი და სანამ გულფიცხი „ილიკო“ თხისტყავა დოლს წამოაცვამდა თავზე, მანამდე უშველეს და გაიყვანეს ჯგუფიდან. კულისებსა და თვალმიმალულ ადგილებში ბებიასა და შვილისვილის წავარჯიშებას არაერთხელ შევსწრებივარ.

ახლაც თვალწინ მიდგას მოხუცი ქალის წელმოხრილად ტრიალი და გაშლილი ხელებით ხმათბილი წამოძახილები: ასე, ბები, ისე ბებია შემოგევლოს, ჰაიტ, აგრე, ჰუიტ, იგრე, მიდი ავთო, მოდი ავთო...–არ გამოუვიდა თეთრთმება ბებიას არაფერი ამ მხრივაც, მაგრამ ავთო გამოსული იყო უკვე–სამეგობროდ და საკეთილოდ. რამხელაც იყო, იმოდენა გული უძგერდა ფითქინა მკერდში და აფრქვევდა განუზომელ სიყვარულს, ამიტომაც უყვარდათ, ენდობოდნენ, ეფერებოდნენ და გადიოდა დრო, ავთულიას წლები და გარშემომყოფთა სიყვარული ემატებოდა.

უღიმილო და მოჩხუბარი არავის უნახავს, ზღაპრიდან გადმოსულ კეთილ გმირს ჰ გავდა, ბუნჩულასა და დარდუკარებას. არადა, სევდიანი იყო, ძალიან სევდიანი და მიღმიური, ღრმა და მრავლისთქმელი შეუცნობელი ფიქრებით მოსილი.

ავთულიას გარდაცვალება რომ შევიტყვე, გული დამემდუღრა, ყელში ცრემლბურთი გამეჩხირა და კინაღამ დამახრჩო. ბევრი რამ დამიდგა თვალწინ, ცნობიერებიდან ამომიცურდნენ ათასი რამეები, რომელიც წარსულია ჩემი პატარა და ლამაზი ქალაქისა და რომელიც აყალიბებდა სახეს იმ თითქოს არაფრით გამორჩეულ, მაგრამ ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანსა და დაუვიწყარ სივრცეს. წავიდა ავთულია, ისევე უხმაუროდ და გაკმენდილად, როგორადაც იცხოვრა და რითაც განსხვავდებოდა სხვისგან. ხო არიან ეგეთი განსხვავებული და დაჩაგრული ადამიანები, რომლებიც გიჟიანობით, უწმაწური სიტყვებით, სტიქიური გამოხტომებითა და მსგავსი რამეებით გამახსოვრებენ თავს. აი, ავთულია კი, პირიქით, სიმშვიდით, ზრდილობითა და პატიოსნებით შემოვიდა თითოეული ხობელის გულსა და გონში.

ერთი ამბავი გამახსენდა, ავთო დროის უმეტეს ნაწილს დალაქებთან ატარებდა. ზაფხულის ერთ ღურღულა დღეს მკრიჭავს ბუნჩულა და ტკბილკაცი **ნაპო მხეიძე** და **მეგონა სანაია** შეუჩნდა ჩვენს გმირს, გინდა თუ არა მითხარი ვინაა შენი შეყვარებულიო. გაჯიქდა ავთო, არა, არ გეტყვით, არ შეიძლება გათხოვილია, შვილები ჰყავს, რუსეთში ცხოვრობს და ვერ გავამხელო. არ მოეშვა მეგონა პარიკმახერი და როცა გამოსავალი ვერ იპოვა, განაცხადა: აგერ ლაშაა ჩემი ამხანაგი და მაგას ვეტყვი ყურშიო. კაი, ბატონოო, დასთანხმდა მოჩემარი დალაქი. მოვიდა ავთულია და ჩურჩულით ისეთი გოგო დამისახელა, კინაღამ სასულეში გადასხლტომილმა ნერწყვმა დამახრჩო, იმდროისთვის ოთხციფრა ტელეფონის ნომერიც მოაყოლა, არ ვიცი რის დასტურად–20-2... კრინტი არ დამიძრავს, ვერც დალაქებმა შემომბედეს რამე, გაუკვირდათ ალბათ, ვინ უთხრა ამისთანა, რომ ფერი დაკარგა და ღიმილი გაუქრაო! ან როგორ დავასახელებდი იმ გოგონას სახელს, რომელსაც სანთელივით ვუფრთხილდებოდი მთელი ცხოვრება და მზედ ვსახავდი, რადგან ჩემი პირველი სიყვარული იყო.

აქ კი, ჩემი მეტოქე გამოდგა, ჩვენი ავთულია... სხვას არა, მაგრამ იმ ჩვენს, ერთ დროს უკვე „საერთო“, შეყვარებულს ოდესმე თუ კი შევხვდი, აუცილებლად გავუმხელ ავთულიას გულისნადებს და ვთხოვ, მის სახელზე სანთლის დანთებას, შეყვარებულის სანთელი სხვაა მაინც, სხვანაირი ძალითა და შეგრძნების ბრიალით!..

ჰო, ერთ სიმღერას ღიღინებდა ავთულია სულ: „ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე, რომ მითხარი მოვალო, რატომ დაიგვიანე?..“

ლაშა გვასალია.

პოეტის საიუბილეოდ

ადრე წასული კაცის ფიქრები

ლადო ასათიანი ქართულ ლიტერატურაში მარად ახალგაზრდა პოეტად დარჩა. მისი პოეზია ყველა ასაკის მკითხველისთვის ნაცნობი და მახლობელია, რადგან ყოველთვის მაჟორულ, სადღესასწაულო განწყობას ქმნის. მისი ლექსები ანდამატური ძალით იზიდავს მკითხველს და იწვევს იმ სამყაროში, სადაც ქართული სიტყვის მადლით საოცარ ძალას, სილამაზეს, ვაჟკაცობას შეიგრძნობ. პოეტის ომახიანი პათეტიკით სავსე პოეზია, გულღია კაცის უნაპირო სიხარულითა და მღელვარებითაა დამუხტული და თითოეული ლექსი სულიერი მხნეობით გვავსებს, ძალასა და ენერგიას გვმატებს.

პოეტს ურთულეს წლებში მოუწია სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. მისი თაობა, (მირზა გელოვანი, ვლადიმერ უბილავა, ალექსანდრე საჯაია) უაღრესად თვითმყობადი და მხატვრული ინდივიდუალობითაა აღბეჭდილი. ომმა შეიწირა თავად პოეტი. უმძიმესი სენით შეპყრობილი 26 წლისა წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ თავისი შემოქმედებით იმდენად შეძლო საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, რომ კლასიკური ქართული პოეზიის თანავარსკვლავედში დამკვიდრდა.

მიუხედავად იმისა, რომ მან გამოიარა ეპოქის სუსხი და ჭირსახდელი, მის ლექსებში თითქოს არც იგრძნობა აწმყოთი უკმაყოფილება. მისი პოეზია გმირობის, ქართველობის, ღრმა სულიერების სადღეგრძელოა, რომელიც საოცარი სიამაყის შეგრძნებას გვიტოვებს:

„ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან
მოგვდევს
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს,
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში
მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ
სიცოცხლეს.“

ლადო ასათიანის შემოქმედებაში ხშირად იხსენიება ნიკო ფიროსმანი, რომელიც „უფასოდ გაქრა, ახლა დაფასდა“. პოეტი მასში საკუთარ მომავალს ხედავდა, ალბათ. ამიტომაც ამბობდა:

„მე ვეტრფი ძლიერ თბილისის ჰავას, ნიკო ფიროსმანს და საათნავას.“

ლადო ასათიანის მარად ახალგაზრდა პოეზია, მომავლის პოეზიაა. მომავალი თაობები მათ ახლებურად გაიგებენ და გაიაზრებენ, მისი ლექსები იმისდა მიხედვით დასჭირდება ქართველ მკითხველს, თუ როგორი ეროვნული თვითშეგნებით გაიზრდებიან მოსწავლეები, როგორ ივლის წინ საქართველო.

14 იანვარი ლადო ასათიანის დაბადების დღე იყო. ამ თარიღთან დაკავშირებით ახალი ხიბულის ნომერ მეორე საჯარო სკოლის მე-6 კლასში (ხელმძღვანელი მარინა გოლავა) ჩატარდა პოეზიის საღამო **„ლექსი ქცეული ხალხის ანბანად“.**

პოეტის მაგიურმა შემოქმედებამ პატარა მკითხველებშიც იპოვა საკუთარი ადგილი. მოსწავლეებმა ბ.იზორიამ, გ.ჯამბურიამ, გ.ნარსიამ, ნ.სიჭინავამ, ნ.შამათავამ, გ.ჭილაიამ და უკრაინიდან გადმოსულმა გაბრიელ ღვინჯილიამ წაიკითხეს პოეტის შედევრები: „მე ვეტრფი“, „საღაღობო“, „ყაყაჩო“ „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“.

მოსწავლეებმა გააცოცხლეს სოფელი ბარდნალა, უმასპინძლეს პოეტის კარ მიდამოს, სადაც საოცარი სილამაზითაა წარმოჩენილი: „თოხი პირგამოპირული“, „პაწია ქოთანი დუღილით ნაქოთქოთარი“, „ლაფშა ლაგამის მკვნეტავი“, „სოფლის წყალ-ჭალა და ყანა, როცა... დილის ნამით გაილუმპები...“

ლადო ასათიანის პოეტური ფიქრები საქართველოს, მის სახელოვან ისტორიას, გმირ წინაპრებს, ნიჭიერ შემოქმედებას დასტრიალებს. მის პოეზიას ნაზიარევი თაობა უეჭველად იქნება საქართველოს ღირსეული ცვლა. „სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენით“ გამოზრდილი, საკუთარი ხელოვნებისა და კულტურის დამფასებელი, როცა მომავალი თაობა მის შემოქმედებას გაეცნობა, თავად ჭაბუკი პოეტი გაუძღვება მათ პოეზიის სამყაროში და ქართულ ნიჭიერებაზე მოუყვება.

„შენ როცა ამ წიგნს ხელში
აიღებ,
ცოცხალთა შორის მე არ
ვიქნები,
მაგრამ, კეთილო, მიხვდი, გაიგე
ადრე წასული კაცის ფიქრები...“

ლადოს ლექსებს მღერიან, მის სიტყვებს ბრძოლის წინა ხაზზე წარმოთქვამენ, მის წიგნებს სათუთად ინახავენ....

თაობებს უყვართ და ეამაყებათ...

და სხვა რაღაა უკვდავება?!

მარინა გოლავა.

ვირუსული ინფექციები და მათი პრევენცია



გრიპი არის ფილტვებისა და სასუნთქი გზების ვირუსული ინფექცია გრიპის ერთ-ერთი ვირუსით, ეს იწვევს ცხელებას, ცხვირის გამონადენს, ყელის ტკივილს, ხველას, თავის, კუნთების ტკივილს, ზოგად სისუსტეს.

ვირუსი ვრცელდება ინფიცირებული პირთან უშუალო კონტაქტით.

გრიპი იწყება შემცივნებით, რასაც მოყვება ცხელება, კუნთების, თავის, ყელის ტკივილი, ხველა, ცხვირის გამონადენი და დაავადების ზოგადი შეგრძნება.

გრიპის ყოველწლიური ვაქცინაცია გრიპის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა.

2023 წელს ჯანდაცვის ცენტრის მიერ შემოტანილი იყო 960 დოზა სეზონური გრიპის ვაქცინა, მსურველებს დღესაც შეუძლიათ აიცრან ევექსის ჰოსპიტალური ქსელის ხობის კლინიკაში. ვაქცინაცია არის უფასო, ის ფინანსდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

დასვენება, ბევრი სითხის მიღება და ფიზიკური დატვირთვის თავიდან აცილება დაეხმარება ადამიანს გამოჯანმრთელებაში, ისევე როგორც ტკივილდამაყუჩებლების და ზოგადი ანტივირუსული პრეპარატის მიღება.

გრიპის სიმპტომები იწყება ვირუსის შეჭრიდან 1–4 დღის შემდეგ და შეიძლება მოულოდნელად დაიწყოს. შემცივნება ან გაცივების შეგრძნება ხშირად პირველი მაჩვენებელია. ცხელება ხშირია პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში, ავადმყოფი სუსტად და დაღლილად გრძნობს თავს. მათ აქვთ ტკივილები მთელ სხეულში, განსაკუთრებით ზურგსა და ფეხებში, თავის და თვალების ტკივილი, გულმკერდის წვა, გამონადენი ცხვირიდან.

გრიპის პროფილაქტიკისთვის აუცილებელია ყოველწლიურად გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება. 6 თვის და უფროსი ასაკის ადამიანებისთვის, პრევენცია მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ჯანდაცვის მუშაკებისა და სხვა რისკ-ჯგუფების წარმომადგენლებისთვის. 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, ქრონიკული ავადობის მქონე და 65 წელს ზემოთ პირებისთვის.

ექიმები გვირჩევენ, როგორც პროფილაქტიკური ღონისძიება, გააძლიეროთ თქვენი ორგანიზმი და იმუნიტეტი მთელი წლის განმავლობაში ფიზიკური აღზრდით, სწორი კვებით, ვიტამინებისა და მინერალების მიღებით. ყველაზე ეფექტური გზაა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, ყოველწლიურად ოქტომბერსა და ნოემბრის თვეში, მოსალოდნელი ეპიდემიამდე 2-3 თვით ადრე, გარდა ამისა დამცავი ნიღბები უნდა ატაროთ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში და შეიცვალოს ყოველ 2-3 საათში ერთხელ.

გრიპი ბავშვებში–ჯანმრთელი ბავშვი, რომელიც საბავშვო ბაღში არ დადის, წელიწადში 6-12 ჯერ გაცივდეს ან ვირუსი შეხვდეს ნორმაა, თუ ბაღში დადის, ეს მაჩვენებელი 18-მდე არის.

ბოლო კვირის მონაცემებით, ახლა ძირითადად ცირკულირებს „ა“ ტიპის გრიპის ვირუსი, რომლის პროცენტული მაჩვენებელი 40-ზე მეტს შეადგენს, ძირითადად ეს არის H1N1 ვირუსი (ე.წ. ღორის გრიპი), რომელიც პანდემური ვირუსია, მცირე რაოდენობით ფიქსირდება, რომელიც ცირკულირებს რესპირატიულ სინციტური ვირუსი ბავშვებში, შესაძლოა მძიმედ მიმდინარეობდეს, რაც შეეხება არსებულ ვითარებას, არაფერი განსხვავებული არ ხდება, ეს ის ვირუსიებია, რომლებიც კოვიდ–19-მდე არსებობდნენ, ახლა ისინი თავიანთ ჩვეულ ადგილს დაუბრუნდნენ. გარემოში სულ 200-მდე სხვადასხვა ვირუსია, რომელიც ზამთარში გაციების სიმპტომებს იწვევს, გამორჩეულია გრიპი, რომელიც შედარებით უფრო მძიმედ მიმდინარეობს.

გრიპის მსუბუქი და საშუალო მიმდინარეობისას მისი მართვა უნდა მოხდეს ამბულატორიულად ოჯახის ექიმის მიერ, მძიმე და განსაკუთრებული მაღალი ტემპერატურით ავადობის შემთხვევაში, ჩატარდეს სტაციონარში.

რესპირაციული ვირუსული ინფექციისაგან პრევენციას წარმოადგენს ვირუსის გავრცელების თავიდან აცილება, ჰიგიენის წესების დაცვა. ამისთვის აუცილებელია: ხელის საპნითა და წყლით ხშირი დაბანა, ხველების ან ცემინების შემთხვევაში პირზრე ან ცხირზე ერთჯერადი ცხვირსახოცის მოფარება, დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში სახლში დარჩენა და თვითიზოლაცია 7 დღით.

–დისტანციის დაცვა და პირბადის ტარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ტრანსპორტში.

მრავალფეროვანი საკვების მიღება, მათ შორის ბოსტნეულისა და ხილის, რომელიც მდიდარია სხვადასხვა ვიტამინებით.

–მშობლებს უნდა ახსოვდეს, რომ ჩვილი ბავშვის დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას ძუძუთი კვება წარმოადგენს.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი–პროფილაქტიკოსი.

რედაქტორი–ბეჭან ნადარაია. ტელ: 579-72-61-72

სარედაქციო კოლეგია:

მერი ლაგვილავა–პასუხისმგებელი მდივანი, ნანი კილასონია–ჟურნალისტი, კობა კობახიძე, გოგიტა ჩიტაია, გოგი ბუკია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ნინა ბუკია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 577 60-22-21.

ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.

დაიბეჭდა შპს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი